ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N18

(ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი)

ქალაქი ბათუმი 01 მარტი , 2021 წელი

ერთის მხრივ **სსიპ „აჭარის მუზეუმი"** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის - თეონა ზოიძის სახით და მეორეს მხრივ **შპს "ირკა"** (ს/ნ 404899712) /SMS ოფისის სავაჭრო ნიშნის და smsoffice.ge ვებ-გვერდის მფლობელი/ (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის - **ზურაბ კერძევაძის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მომსახურების შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია: **სსიპ-აჭარის მუზეუმისთვის 2021 წლის 25 თებერვლის ინვოისის თანახმად, მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სერვისის/მომსახურების** შესყიდვა და წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ღირებულების მიმწოდებლისთვის ანაზღაურება.

3. შესყიდვის ობიექტი

3.1 შესყიდვის ობიექტია: ***მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სერვისი/მომსახურება (CPV: 64212100) - მუზეუმის მიერ smsoffice.ge-ს ვებ-გვერდის მეშვეობით მოკლე ტექსტური შეტყობინებების დაგზავნის სერვისი.***

3.2 smsoffice.ge მუზეუმის მიერ მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის სისტემასთან (შემდგომში "სისტემა") დაშვების მეშვეობით მუზეუმის (smsoffice.ge) მომხმარებლისთვის შესაძლებელს ხდის საინფორმაციო მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) გაგზავნას სხვადასხვა ქსელის აბონენტებთან.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებელი - შპს „ირკა" /SMS ოფისის სავაჭრო ნიშნის და smsoffice.ge ვებ-გვერდის მფლობელი/ გადასცემს შემსყიდველს smsoffice.ge-ს ვებ-გვერდის მეშვეობით 5000 (ხუთი ათასი) მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის უფლებას, რომლის ღირებულებაა 89 (ოთხმოცდაცხრა) ლარი.

3.4 მომსახურების პირობები, დეტალური ინფორმაცია აქტივაციის განაცხადზე, მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის წესზე და სხვ. მოცემულია ვებ-გვერდზე **smsoffice.ge.** ის წესები და პირობები, რომლებიც არაა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება smsoffice.ge -ის ვებ-გვერდზე განთავსებული მომსახურების პირობებით და განიხილება წინამდებარე ხელშეკრულებასთან ერთად.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ღირებულებაა **89,00 (ოთხმოცდაცხრა) ლარი.**

4.2. მომსახურების ერთეულის ღირებულება განსაზღვრულია smsoffice.ge-ს ვებ-გვერდზე განთავსებული ფასების ცხრილით.

4.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

5. მიწოდების ვადა და პირობები

5.1. მომსახურების მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.

5.2. შესყიდვის ობიექტის (მომსახურების) მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ფინანსური დოკუმენტაციის - საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენას შემსყიდველისათვის.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ეროვნულ ვალუტაში.

6.2 მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის ინვოისის გაგზავნის შედეგად, შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვული ღირებულების გადახდა, რის შედეგადაც მომსახურების მიმწოდებელი შეავსებს შემსყიდველის ბალანსს შესაბამისი მოცულობით და მიწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველის შესყიდვის ობიექტის (smsoffice.ge-ს ვებ-გვერდზე მუზეუმისთვის მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის სისტემასთან დაშვებას და ხუთიათასი მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის უფლებას, რის შედეგადაც მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია არ დაუშვას შემსყიდველის წვდომა smsoffice.ge-ს ვებ-გვერდზე შემსყიდველისთვის მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის სისტემასთან და ხუთიათასი მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის უფლებაზე, შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღირებულების ანაზღაურებამდე.

7. შესყიდვის ობიექტის შინაარსი და ხარისხი

7.1. შეტყობინების შინაარსზე ან მის სათაურზე პასუხისმგებლობა არც-ერთ შემთხვევაში არ ეკისრება მიმწოდებელს, პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ შემსყიდველს.

7.2. მიმწოდებელი ვალდებულია შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოს მის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის უტყუარობა და სისწორე, თუმცა პასუხისმგებლობა არ ეკისრება მიმწოდებელს მისი ბრალეულობის გარეშე გამოწვეული ტექნიკური ხარვეზებისა და სერვერის ვირუსებისთვის.

7.3. მიმწოდებელი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან აბონენტების ქსელში ჩართულობაზე ან აქტიურობაზე. მიმწოდებლის ნომრებზე შეტყობინების გაგზავნისას ადრესატამდე მისვლა შესაძლებელია მერყეობდეს 50-70%-იან დიაპაზონში. შემსყიდველი აცნობებს ამ უკანასკნელ რისკს, შესაბამისად, მიმწოდებელს პასუხისმგებლობა არ ეკისრება გაგზავნილი შეტყობინებების სრული მოცულობიდან ადრესატებთან მისული შეტყობინებების პროცენტულ მაჩვენებელზე.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.1.1. მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.2.2. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის (მომსახურების) მიღება.

8.2.3. შემსყიდველი მიმწოდებლის მიერ შესაბამისი მომსახურების გასაწევად მიმწოდებლის მხრიდან მისგან კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნისას, ვალდებულია, რომ მიაწოდოს ზუსტი, უტყუარი და სრულყოფილი ინფორმაცია.

8.2.4. შემსყიდველი ვალდებულია არ გამოიყენოს "SMS ოფისის" მომსახურება შემდეგ შემთხვევებში: (ა) კანონით აკრძალული საქმიანობის, მომსახურების ან საქონლის სარეკლამოდ. (ბ) რელიგიური შინაარსის მესიჯების გასაგზავნად, (გ) აბორტის ან სასქესო უჯრედების დონაციის სარეკლამოდ, (დ) ნებისმიერი ისეთი ინფორმაციის გავრცელებისათვის, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

8.2.5. შემსყიდველი ვალდებულია მოკლე ტექსტური შეტყობინების შინაარსი შეუსაბამოს „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს. ამასთან, შემსყიდველი ვალდებულია არ გააგზავნოს ისეთი ტექსტური შეტყობინებები, რომლებიც შეიცავს მოწოდებას სახელმწიფო არეულობისკენ ან ავრცელებს ცრუ ინფორმაციას სახელმწიფო ინსტიტუტების სახელით.

8.2.6. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.3.1.მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.3.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია, შეინახოს ან/და დაამუშავოს შემსყიდველის პირადი ინფორმაცია მიმწოდებლის მიერ მომსახურების განხორციელების და სხვა მიზნით. მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი,

გასცეს ინფორმაცია შემსყიდველის მობილური ნომრებისა და შეტყობინების ტექსტების თაობაზე მესამე პირებზე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1. უზრუნველყოს შემსყიდველის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტზე (მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სერვისი/მომსახურება (CPV: 64212100) - მუზეუმის მიერ smsoffice.ge-ს ვებ-გვერდის მეშვეობით მოკლე ტექსტური შეტყობინებების დაგზავნის სერვისი) წვდომა, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;

8.4.2.დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. მიმწოდებლის პასუხისმგებლობის ფარგლები:

9.2.1. მიმწოდებელს არც ერთ შემთხვევაში არ ეკისრება პასუხისმგებლობა ნებისმიერ დანაკარგზე, დაზიანებასა თუ ხარჯზე, მათ შორის შემსყიდველის შემოსავლის პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკარგვაზე. პასუხისმგებლობის ეს შეზღუდვა არ ეხება პირად დაზიანებას ან სიკვდილს, რომელიც გამოწვეულია მიმწოდებლის დაუდევრობის შედეგად.

9.2.2. მიმწოდებელს არ აკისრია პასუხისმგებლობა შემსყიდველისთვის განკუთვნილი ინფორმაციის სისწორეზე, გაგზავნის დაგვიანებაზე ან მოუსვლელობაზე, შეცდომებსა ან დანაკარგზე, აგრეთვე სერვერის ვირუსებსა ან სხვა სახის დაბინძურებებზე, დესტრუქციულ ქმედებებზე, რომელიც გადაეცა შემსყიდველის კომპიუტერულ სისტემას მიმწოდებლის ვებ-გვერდით სარგებლობისას.

9.2.3. მიმწოდებელი არაა პასუხისმგებელი არაპირდაპირ დანაკარგზე, შედეგობრივ დანაკარგზე, მონაცემების დაკარგვაზე, შემოსავლის ან სარგებლის დაკარგვაზე, საკუთრების დანაკარგზე ან დაზიანებაზე და/ან მესამე პირის მოთხოვნის გამო დანაკარგზე, რომელიც წარმოქმნება მიმწოდებლის ვებ-გვერდის გამოყენებისას ან მიმწოდებლის მომსახურების შეძენისას.

9.2.4. მიმწოდებლის პასუხისმგებლობა მისი ბრალეულობით/დაუდევრობით გამოწვეული ნებისმიერი დანაკარგის ან ზარალის გამო, შემოიფარგლება მხოლოდ იმ თანხით, რომელიც შემსყიდველმა გადაიხადა შესაბამისი მომსახურებისათვის.

9.2.5. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელმა გადადგა ყველა გონივრული ნაბიჯი ინტერნეტ თაღლითობის თავიდან ასაცილებლად და შემსყიდველის მიღებული პირადი მონაცემების მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მას არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმ ნაკლებად სავარაუდო შემთხვევის დადგომისას, როდესაც მიმწოდებლის კომპიუტერულ სერვერებზე შესაძლებელია მოხდეს არა ავტორიზებული პირების წვდომა.

9.3. შემსყიდველის პასუხისმგებლობის ფარგლები:

9.3.1. გაგზავნილი შეტყობინების შინაარსზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველს. შეტყობინების სათაურზე ასევე სრულიად პასუხისმგებელია შემსყიდველი. შემსყიდველის მიერ არაკეთილსინდისიერი მიზნებისათვის სათაურის ან/და შეტყობინების ტექსტის გამოყენების შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველს, მათ შორის, ნებისმიერი იმ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რაც გამოიწვია მისმა ასეთმა ქმედებამ და ჯარიმა 10,000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით თითოეული კამპანიისათვის, („კამპანია" თავის თავში გულისხმობს შემსყიდველის მიერ ერთი ტიპის ან/და ერთი შინაარსის მქონე შეტყობინების გაგზავნას, მიუხედავად ამ შეტყობინების მიმღებთა რაოდენობისა) რომლის გადახდის ვალდებულებაც შემსყიდველს ეკისრება მიმწოდებლის მოთხოვნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

9.3.2. წინამდებარე ხელშეკრულების 8.2.5. პუნქტის მოთხოვნების დარღვევა წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით დარღვევას და შემსყიდველს დაეკისრება 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობის ჯარიმა აღნიშნული პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით გაგზავნილი თითოეული შეტყობინებისთვის. ამასთან, შემსყიდველს დაეკისრება აღნიშნული მუხლის დარღვევით მიმწოდებლისთვის და მიმწოდებლის პარტნიორი ოპერატორისათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანის სრულად ანაზღაურების ვალდებულება, მათ შორის, მიუღებელი შემოსავლისა და სახელმწიფო ორგანოების მიერ ოპერატორისათვის დაკისრებული ჯარიმებისა თუ ნებისმიერი სხვა სანქციების ჩათვლით. აღნიშნულ მუხლში გათვალისწინებული ჯარიმები შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის/ ოპერატორისთვის ანაზღაურდება ამ უკანასკნელის მოთხოვნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

9.3.3. გარდა წინამდებარე მუხლით დადგენილი წესით მიმწოდებელთან/ოპერატორთან წინასწარ და მოგვიანებით შეთანხმებული სახელწოდებებისა (სათაურებისა), ნებისმიერი სხვა სახელწოდებით მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის მცდელობის ან/და გაგზავნის ფაქტი, წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების არსებით დარღვევას და ამისთვის შემსყიდველს, რომელმაც ნებისმიერი სხვა სახელწოდებით მოკლე ტექსტური შეტყობინება გააგზავნა ან ამ უკანასკნელის მცდელობა ჰქონდა, დაეკისრება 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობის ჯარიმა თითოეული კამპანიისათვის. ჯარიმასთან ერთად, შემსყიდველი ვალდებულია აღნიშნული დარღვევით მიმწოდებლისთვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის სრულად ანაზღაურებაზე, მათ შორის და არა მხოლოდ, მოუღებელი შემოსავალის, სახელმწიფო ორგანოების მიერ მიმწოდებლისთვის ან/და მისი პარტნიორი ოპერატორისთვის დაკისრებული ჯარიმების და ნებისმიერი სხვა სანქციების თუ ფულადი ვალდებულებების ანაზღაურებაზე. აღნიშნულ მუხლში გათვალისწინებული ჯარიმები შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის/ოპერატორისათვის ანაზღაურდება მიმწოდებლის მოთხოვნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

9.3.4. შემსყიდველის მიერ უნებართვო, მათ შორის მესიჯების გამჭოლი სათაურით გაგზავნა (გამჭოლი სათაურით გაგზავნილი შეტყობინება უპირობოდ მიდის აბონენტთან, მიუხედავად იმისა, დაბლოკილი აქვს თუ არა ნომერს შეტყობინებების მიღება) არღვევს საქართველოს კანონს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ", რაც ითვალისწინებს ჯარიმას 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში, როდესაც აბონენტი SMS NO კოდის აკრების მიუხედავად, კვლავ მიიღებს შემსყიდველისგან შეტყობინებებს, შემსყიდველს დაეკისრება ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეული ფაქტისათვის.

9.4. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.5. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.6. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება წინამდებარე ხელშეკრულება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს წინამდებარე მუხლით გათვალისწინებულ ჯარიმასთან/ზიანის ანაზღაურებასთან ერთად (შესაბამისი მუხლის/პუნქტის დარღვევის შემთხვევაში), დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით.

9.8. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ს, მხარეები უფლებამოსილნი არიან შეწყვიტონ ხელშეკრულება და მოითხოვონ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.9. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს მიყენებული ზიანის ანაზღაურებისგან და ჯარიმისგადახდისგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არსებობდნენ ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა, თუ ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

10.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.

10.4. 10.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
10.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.2. მიმწოდებელს გააჩნია უფლებამოსილება, შეცვალოს smsoffice.ge -ზე განთავსებული მომსახურების პირობები, მათ შორის მომსახურების ღირებულებები და ფასები მომხმარებელთა წინასწარი გაფრთხილების გარეშე. ახალი პირობები ძალაში შედის smsoffice.ge -ვებ-გვერდზე მათი განთავსებისთანავე.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. მხარეებს შეუძლიათ მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მხარეები არ შეასრულებენ ან არ შეუძლიათ შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
12.2. მხარეები ვალდებულნი არიან არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით აცნობონ ერთმანეთს 12.1. მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
12.3. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს/ჯარიმას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2. ხელშეკრულების ცალკეული პუნქტის ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტის ბათილობას.
14.3. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.4. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და დამოწმებულია/დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერებით ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.6. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის შედგენილი იქნება ქართულ ენაზე და დამოწმებული/დადასტურებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერებით ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცვლილება შედის smsoffice.ge -ის ვებ-გვერდზე განთავსებული მომსახურების პირობებში ან და ღირებულებაში, რა დროსაც მიმწოდებელს გააჩნია უფლებამოსილება, შეცვალოს მომსახურების პირობები მომხმარებელთა წინასწარი გაფრთხილების გარეშე. ახალი პირობები ძალაში შედის smsoffice.ge -ვებ-გვერდზე მათი განთავსებისთანავე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შემსყიდველი: სსიპ „აჭარის მუზეუმი" ბათუმი, ხ. ახვლედიანის ქუჩა N4 საიდ.კოდი N 245769271 სახელმწიფო ხაზინა **ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი** **დირექტორი** თეონა ზოიძე	**მიმწოდებელი:** შპს „ირკა" თბილისი, ფალიაშვილის ქ. N65 საიდ.კოდი N 404899712 სს "თიბისი ბანკი" ანგ.N GE37TB7564736080100002 კოდი TBCBGE22 **დირექტორი** ზურაბ კერძეკაძე

დანართი N1

ფასების ცხრილი

N	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ ენობა	ერთეულის ფასი, ლარი	თანხა, ლარი
1	მოკლე ტექსტური შეტყობინებები	ცალი	5000	0.0178	89,00

ინფორმაცია

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 26 თებერვალი, 2021 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის თანახმად, ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ სსიპ „აჭარის მუზეუმის“ მიერ შპს „ირკა“-თან (ს.კ.N 404899712) 2021 წლის 26 თებერვალს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N18 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონელის/მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორი /თეონა ზოიძე/